# თემა 29

## დღესასწაული

**ამოცანები:**

- ვასწავლოთ მოსწავლეებს სხვადასხვა  დღესასწაული სახელი.
- ლექსიკის გამდიდრება დღესასწაულებთან დაკავშირებით.

**გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა**

1. ბავშვები საახალწლო საჩუქრებს ხსნიან. ისინი სხვადასხვა დღესასწაულის შესახებ საუბრობენ.

2. თამაში # 28-1

**კლასობანა**

კლასიკური თამაშია. მოსწავლე გადააგდებს კენჭს და ასახელებს ციფრს, რომელიც უჯრაში წერია. მასწავლებელი ამბობს: დაასახელეთ დღესასწაულის სახელწოდება და მოსწავლეები ასახელებენ იმ დღესასწაულს, რომელსაც მასწავლებელი აჩვენებს. მოსწავლეები ამ დღესასწაულის სახელს ყვირიან.

- მოსწავლეებს შეუძლიათ იყვირონ, დაიჩურჩულონ ან სხვა ხმაზე დაიძახონ დღესასწაულის სახელი.

3. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს:

**ამბავი**

4. თამაში #28-1

**დღესასწაული (ველოდებით სტუმრებს):** როლური თამაშების ცენტრში ბავშვებს უნდა დავახვედროთ: მარილიანი ცომის მოსაზელი ინგრედიენტები (ფქვილი, მარილი, წყალი) „ნამცხვრების" გამოსაცხობად, „ქურა" (თუ არ გვაქვს სათამაშო ქურა, შეგვიძლია გავაკეთოთ მუყაოს ყუთისგან), ჩაიდანი და სხვა ჭურჭელი. „სამზარეულოში"უნდა გვქონდეს წყალი არა მხოლოდ ცომის მოსაზელად, არამედ ასევე „ჩაისა" და „ყავის" მოსამზადებლადაც.

| ლექსიკა | ძირითადი ფრაზები/წინადადებები/გრამატიკა |
|---|---|
| დღესასწაულები<br>• ახალი წელი<br>• 8 მარტი<br>• ნოვრუზი | ზმნა/არსებითი სახელის შეთანხმება:<br>• ახალი წლის    აღნიშვნა<br>• საჩუქრების    მიღება<br>• საჩუქრების   გახსნა |

| | |
|---|---|
| • დამოუკიდებლობის დღე<br><br>• საჩუქარი (საჩუქრები)<br>• ბარათი (ბარათები)<br>• კოსტიუმი<br>• მიღება<br>• აღნიშვნა<br>• გახსნა<br>• ჩაცმა<br>• ურიგებს (ურიგებენ) | • ბარათების   გაცვლა<br>• კოსტიუმების   ჩაცმა<br>• სანტასგან საჩუქრებს ვიღებთ.<br>• ახალ წელს საჩუქრებს ვხსნი.<br>• გაზაფხულის ფესტივალზე მშობლები ფულს ურიგებენ ბავშვებს. |

**რესურსი:**

**ბანერი - 4 ნაწილად წარმოდგენილი სხვადასხვა დღესასწაული (ახალი წელი, 8 მარტი, ნოვრუზი,  დამოუკიდებლობის დღე.**